ა(ა)იპ წყალტუბოს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სკოლა-გიმნაზია

კლასის დამრიგებლის დებულება

სკოლა-გიმნაზიაში სასწავლო სააღმზრდელო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის თითოეულ კლასს ენიშნება კლასის დამრიგებელი,რომელიც არის საქართველოს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის აქტიური გამტარებელი. ის არის პირველი რგოლი კლასში სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისა და შინაარსის პედაგოგიური მიმართულების უზრუნველყოფის საქმეში. დამრიგებელი ინიშნება მისი პიროვნული, პედაგოგიური თვისებების, მეცნიერული დონისა და ღირსებების გათვალისწინებით. დამრიგებელი არის აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორი თავის კლასში. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა კლასში მეგობრული და ერთმანეთის მოსიყვარულე კოლექტივის ჩამოყალიბება.ის ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უვითარებს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს და ეკლესიის, საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

დამრიგებელის მოვალეობები:

1. დამრიგებელი ფლობს მაქსიმალურ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ. საჭიროებისამებრ ატარებს კლასის კრებებს, სადამრიგებლო საათს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თითოეული მოსწავლის ქცევის კულტურას, დაუყონებლივ აწვდის ინფორმაციას დირექციას გაკვეთილის გაცდენის თაობაზე.
2. დამრიგებელი ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს "ზოგადი განათლების შესახებ", საქართველოს კანონის, სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.
3. პედაგოგი,რომელიც იბარებს სადამრიგებლო კლასს ან მოსწავლეთა ჯგუფს, ვალდებულია განახორციელოს დიაგნოსტიკა იმ კონკრეტული მომენტისათვის.
4. დიაგნოსტიკის შედეგების გამოყენებით დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ყოველმხრივ შესწავლას მათი მიდრეკილებების, ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. თითოეული მოსწავლის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა ხელს შეუწყობს მას სადამრიგებლო საქმიანობაში.
5. დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში კლასისა და მთლიანად სკოლა-გიმნაზიის ღირსების დაცვისადმი პასუხისმგებლობის გაზრდას. სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის მოსწავლეთათვის გაცნობას და აძლევს განმარტებას იმ მიზნით, რომ მათ ამ დოკუმენტში ჩადებული შინაარსი კარგად გააცნობიერონ და გაატარონ ცხოვრებაში.
6. დამრიგებელი წარმართავს თავის საქმიანობას მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური მონიტორინგით, თუ კლასის დასწრება 30%-ზე ნაკლებია, სასწრაფოდ იკვლევს მიზეზს, საქმის კურსში აყენებს სკოლა-გიმნაზიის დირექციას და მშობელს.
7. დამრიგებელი ვალდებულია დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის მშობელს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ(სემესტრში მინიმუმ ორჯერ)
8. დამრიგებელი ვალდებულია მოსწავლის სკოლა-გიმნაზიაში არ გამოცხადების შემთხვევაში გაარკვიოს არგამოცხადების მიზეზი და დროულად ჩააყენოს საქმის კურსში სკოლა-გიმნაზიის დირექცია (თუ მოსწავლემ თვითნებურად გააცდინა, მაშინ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი);
9. დამრიგებელი სწავლობს მოსწავლეთა სოციალურ მდგომარეობას და ითვალისწინებს შემდგომ საქმიანობაში. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის რეგულირების მიზნით, ატარებს მოცემულ კლასში მომუშავე პედაგოგთა მცირე სხდომებს.
10. დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლეთა მონაწილეობით სასკოლო ოთახებისა და კაბინეტების სათანადო ესთეტიკურ გაფორმებაზე. მოსწავლეთა იერსახის მოწესრიგებაზე. ასევე ზრუნავს მაღალი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების, სასკოლო ინვენტარის გაფრთხილებაზე, ამ მიზნით მას უნდა ჰქონდეს დირექტორის ბეჭედით დამოწმებული კლასის ინვენტარიზაციის ფურცელი, რომლის მიხედვითაც იგი წლის ბოლოს სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციას უკლებლივ აბარებს სასწავლო წლის დასაწყისში

მიღებულ ინვენტარს (დაზიანების შემთხვევაში დამრიგებელი ვალდებულია მშობელთა დახმარებით აანაზღაუროს ზარალი).

11. დამრიგებელი ვალდებულია იქონიოს სისტემატიური კონტაქტი სკოლა-გიმნაზიის მოძღვრებთან და სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციასთან.
12. დამრიგებელს ევალება კლასგარეშე და სკოლისგარეშე სასწავლო-აღმზრდელობითი ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება და ჩატარება, შემდეგ კი ანალიზი-შეფასება.
13. დამრიგებელს ევალება სკოლა-გიმნაზიის მოძღვრებთან ერთად სკოლის რეჟიმს ძნელადშემგუებელ ოჯახიდან მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებთან და მათ მშობლებთან მუშაობა.
14. დამრიგებელს სკოლა-გიმნაზიის მოძღვრებთან და ფსიქოლოგთან თანამშრომლობის პირობებში ევალება განსხვავებული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის საქმიანობის კოორდინირება, ზრუნვა მისთვის საჭირო გარემო- პირობების შექმნაზე. ინდივიდუალური პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა, კონტროლი და მონიტორინგი.
15. დამრიგებელს ევალება სათანადო ზომების მიღება მოსწავლეთა წახალისების ან დასჯის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
16. დამრიგებელი პასუხისმგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეების სწორ და მოწესრიგებულად წარმოებაზე.
17. დამრიგებელი ვალდებულია გააცნოს უკლებლივ ყველა მშობელს სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.
18. დამრიგებელი უზრუნველყოს მისი სადამრიგებლო ჯგუფის მოსწავლეთა დასწრებას სკოლა-გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მისი პირადი მაგალითის ძალით.
19. დამრიგებელი ზრუნავს აღსაზრდელების კულტურული დონის ამაღლებაზე (მოლოცვა, ექსკურსიები, სპექტაკლები, დიალოგები, შეხვედრები და ა.შ)
20. დამრიგებელი ხელს უწყობს სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციას მშობელთა პედაგოგიზაციის საქმეში.
21. დამრიგებელს კავშირი აქვს ფუნქციურად ქმედუუნარო (მძიმე სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის) მქონე ოჯახებთან და საქმის კურსში აყენებს სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციას, ამგვარი ოჯახების არსებობის შემთხვევაში,რათა ერთობლივი ძალისხმევით იქნას შემუშავებული დახმარების პროგრამები.
22. დამრიგებელი ვალდებულია მოიწვიოს მშობელთა კრება სემესტრში მინიმუმ ერთხელ კლასთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის პრობლემების გადასაწყვეტად.
23. დამრიგებელი ვალდებულია მოსწავლის საშემოდგომო გამოცდის, ყოფაქცევაში არადამაკმაყოფილებელი შეფასების შესახებ წერილობით აცნობოს მშობელს და სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციას წარმოუდგინოს შეტყობინების ფორმა.
24. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს და სკოლა-გიმნაზიის დირექციას წარუდგენს თავისი კლასის აღმზრდელობითი მუშაობის გეგმას,რომლის შინაარსი განისაზღვრება სასწავლებლის მისიის, მიზნისა და ღირებულებეის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, სასკოლო ცხოვრების მიმდინარე მოთხოვნებითა და სხვათა გათვალისწინებით. აკეთებს ჩატარებული ღონისძიებების ანალიზს.
25. კლასის დამრიგებელი ატარებს სადამრიგებლო კლასსაათს დაწყებით საფეხურზე კვირაში ერთხელ, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ. დამრიგებელი ვალდებულია ჩაატაროს მე-9 კლასში 8 , ხოლო მე-11 კლასში 4 პროფორიენტაციის გაკვეთილი.
26. დამრიგებელი,როგორც წესი აფრთხილებს მოსწავლის მშობელს მინიმუმ ერთი თვით ადრე სემესტრის დასრულებამდე, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ნიშანი რომელიმე საგანში 5,0-ზე დაბალია , მოსალოდნელი შედეგის შესახებ და მშობელს და ადმინისტრაციას წარუდგენს შეტყობინების ფორმას.

კლასის დამრიგებელი არ ასაჯაროებს:

1. მონაცემებს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ(ცნობილია მხოლოდ შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის: სკოლა-გიმნაზიის ექიმი, ადმინისტრაცია და დამრიგებელი).
2. ინფორმაციას მოსწავლის(მისი ოჯახის) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;
3. ინფორმაციას მოსწავლის ჰიგიენის შესახებ

4. ინფორმაციას მოსწავლის ქცევისა და დისციპლინური სახდელების შესახებ ამ საკითხებს დამრიგებელი მხოლოდ და მხოლოდ მშობელთან და სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციასთან ასაჯაროებს.

კლასის დამრიგებელს ეკრძალება

1. მშობელთა კრებაზე კონკრეტული მოსწავლის აკადემიური მიღწევების განხილვა.
2. მისი მოსწავლეზე ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ძალადობა ან ისეთი ქმედება, რაც შეურაცხოფს მოსწავლის/მისი მშობლის პიროვნულ ღირსებას.